ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 47
(CPV98300000)

ქ. თბილისი

07.08.2017წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის გრიგოლ კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "სი-ტი პარკ"-ი (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია დანართ #1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. (CPV98300000).

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 4 (ოთხი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
2.2ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.
3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2 ანაზღაურება განხორციელდება საანგარშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუდვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1 ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ახალ ვადაზე.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს მთავარი სპეციალისტი პაატა კიკვაძე.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 წინანმდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 ხელშკრულების პირობების სარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განოსაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო მის: ქ. თბილისი, ჯიქიას 8 ს\კ 202466991	შპს სი-ტი პარკ მის: ქ. თბილისი კანდელაკის #47 ს\კ 204543770 სს „თიბისი ბანკი“ GE75TB7721336070100003
სააგენტოს უფროსი გრიგოლ კაკაურიძე	გენერალურ მენეჯერი ზ. ლაბავა

VVO – 025

JIM -945

RCR -092

AH 442 HA

PLLE 202465991 TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY